

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის 2010-2015 წ.წ.
სტრატეგიის განაცხადი**

შესავალი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა აღიარებს ყველა ბავშვის უფლებას “იცოცხლოს, იყოს ფიზიკურად ჯანმრთელი და გონებრივად სრულყოფილი, ემოციურად განვითარებული, სოციალურად ადაპტირებული, ქონდეს განათლების მიღების შესაძლებლობა”. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სტრატეგია გამიზნულია ხელი შეუწყოს “გონებრივად და სოციალურად ჯანსაღი პიროვნების ჩამოყალიბებას. ჩვენი ბავშვები უნდა იყვნენ ღირსეულნი, თავისუფალნი, შემოქმედებითი და დამოუკიდებელი”. სკოლამდელმა აღზრდამ ბავშვებს უნდა გაუღვიძოს და განუვითაროს სახელმწიფოებრივობის, ენის, კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციების პატივისცემა, სოციალური პასუხისმგებლობა და ტოლერანტობა.

პროფილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი შედგება 16 ტერიტორიული ერთეულისაგან. 2006 წლის ბოლოსათვის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა მხოლოდ ქალაქის საბავშვო ბაღი, მშობელთა შემონატანის წილობრივი დაფინანსებით. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების (2006 წლის ნოემბერი) შემდეგ, მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების მიზნით შეექმნა ა.ა.ი.პ .საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც შექმნილია გაეხსნა ტერიტორიულ ერთეულებში საადმინისტრაციული ჯგუფები და კოორდინაციას გაუწევდა მათ მუშაობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2007 წლის 30 ივლისს შექმნა ა.ა.ი.პ.საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული ცენტრი., რომელმაც 2007 წლის 1 ოქტომბრიდან 2008 წლის 1 იანვრამდე ლანჩხუთის 11 ტერიტორიულ ერთეულში გახსნა 18 საადმინისტრაციული ჯგუფი 445 ბავშვზე. ცენტრის ბიუჯეტი 2007 წელს შეადგენდა 80068 ლარს. 2007 წელს საადმინისტრაციული ჯგუფში დასაქმებული იყო 98 ადამიანი. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის დაიხარჯა 3250 ლარი.

2008 წელს საადმინისტრაციული ჯგუფების რაოდენობა გაიზარდა და გახდა 22. ბავშვთა რაოდენობა გახდა 532. ბიუჯეტი შეადგენდა 445300 ლარს. დასაქმებულთა რაოდენობა შეადგინდა 126 ადამიანს. მატერიალურ –ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის დაიხარჯა 11340 ლარი.

2009 წელს ბიუჯეტი გახდა 529708 ლარი, წლის ბოლომდე დაემატა 12000 ლარი და გახდა 541708 ლარი. 2009 წლის 1 მარტიდან ბიუჯეტით დაფინანსდა წყალწმინდისა და ჩოჩხათის ალტერნატიული ჯგუფების ადმინისტრაციები, ხოლო 1 ოქტომბრიდან არასამთავრობო ორგანიზაცია „კვიტას გეორგიკა“-სა და პოლონური ორგანიზაცია „ელუკატორი“-ს ერთობლივი პროექტის დახმარებით დაგეგმატა 2 ალტერნატიული ჯგუფი. მატერიალურ –ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის დაიხარჯა 17200 ლარი.

2009 წლის ბოლოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ტერიტორიულ ერთეულზე მოქმედებს 26 სააღმზრდელო ჯგუფი, აქედან 4 ალტერნატიული. სულ ბავშვთა რაოდენობა არის 640. თანამშრომელთა რაოდენობა გახდა 133.

2010 წლისათვის დაგეგმილია 4 სააღმზრდელო ჯგუფის გახსნა და შესაბამისად იზრდება სააღმზრდელო ცენტრის ბიუჯეტი, რომელიც შეადგენს 562448 ლარს. 2010 წლისათვის საშტატო ერთეული იქნება 156. ბავშვთა კონტინგენტი გაიზრდება და 2010 წლისათვის გახდება.

2007 წლის 1 ოქტომბრიდან არ არის მშობელთა შემონატანი. კვება არის სამჯერადი და თვეში ერთ ბავშვზე იხარჯება კვებისათვის 30 ლარი.

ხედვა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების მქონე, მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული სააღმზრდელო ჯგუფები, რომლებშიც დანერგილია სწავლა-აღზრდის თანამედროვე მეთოდები. ყველა ბავშვი სააღმზრდელო ჯგუფის დასრულების შემდეგ მზადაა სასკოლოდ, განვითარებული აქვს სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი, ფიზიკური, სამეცნიერო უნარ-ჩვევები, მიღებული აქვს ზოგადი ცოდნა. მშობლები სიამოვნებით სარგებლობენ სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მომსახურებით.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ბავშვთა მზარდი კონტინგენტი • მოტივირებული პედაგოგები • სრული უფასო მომსახურება • აქტიური მშობლები • სკოლამდელი განათლების პრიორიტეტულობა 	<ul style="list-style-type: none"> • ძირითადად ამორტიზირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა • მწირი სასწავლო ბაზა • პედაგოგთა არასაკმარისი კვალიფიკაცია თანამედროვე მოთხოვნებთან მიმართებაში
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • დონორთა შესაძლო გრანტები • აღმზრდელთა და პედაგოგთა უნარ-ჩვევებისა და ცოდნის უფასო ამაღლების შესაძლებლობა. 	<ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო პოლიტიკა სკოლამდელი აღზრდისადმი არ არის პრიორიტეტული • დეფიციტური ადგილობრივი ბიუჯეტი მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზის გაუმჯობესებას უშლის ხელს • უარყოფითი მიგრაცია

სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები

1. ბავშვთა განვითარება და ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლება

- 1.1. საადმზრდელი ჯგუფებისთვის მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს რეკომენდაციებისა და არსებული უცხოური გამოცდილების საფუძველზე სასწავლო მეთოდოლოგიის ერთიანი წესების შემუშავება, დანერგვა და მუდმივი სრულყოფა-ასაღზრდელთა საფუძვლიანი მომზადება ზოგადი განათლების მისაღებად
- 1.2. პერმანენტული სამედიცინო, ლოგოპედთა მეთვალყურეობის უზრუნველყოფა ყველა საადმზრდელი ჯგუფზე, ასაღზრდელების ფიზიკურ – მორტორული შესაძლებლობების განვითარება
- 1.3. ქართული ხელგარჯილობის ელემენტების ტრადიციული თამაშების, ცეკვისა და სიმღერის შესწავლით კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციების პატივისცემის ამაღლება აღსაზრდელებში.
- 1.4. საადმზრდელი ჯგუფებს შორის სპორტული, სახელოვნებო, სამხატვრო კონკურსების, ინტელექტუალური თამაშების გამართვა – აღსაზრდელთა შესაბამისი მოტივაციის ამაღლება
- 1.5. აღსაზრდელთა სოციალური ადაპტაციისა და თვითდამკვიდრების, სახელმწიფოებრივობის გრძობის ჩამოყალიბება – განვითარების მიზნით “აღსაზრდელთა საბჭოების ჩამოყალიბება” საადმზრდელი ჯგუფებში, “საბჭოების” სხდომების გამართვის იმიტაცია, “მუნიციპალური საბჭოს” ორგანიზება.

2010-2015 წლები

2. უნარშეზღუდული ბავშვებისათვის შესაბამისი გარემო პირობების შექმნა და ინტეგრირება.

- 2.1. უნარშეზღუდული ბავშვებისათვის ყველა საადმზრდელი ჯგუფებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. 2012-2014
- 2.2. ქალაქისა და მანხვარეთის საადმზრდელი ჯგუფებში უნარშეზღუდული ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო ცენტრების გახსნა.

2013-2015 წლები

3. პედაგოგთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლება

- 3.1. ტრეინინგ-კურსების ორგანიზება პედაგოგთათვის
- 3.2. უცხოურ ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარება, შესაბამისი ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიზნით.
- 3.3. მუდმივი ურთიერთობის დამყარება განათლების სისტემის სკოლამდელი დაწესებულებების შესაბამის სამსახურთან საინფორმაციო უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

2010-1015 წლები

4. მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

- 4.1. სააღმზრდელო ჯგუფების არსებული ტექნიკური ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა
- 4.2. ცენტრის სააღმზრდელო ჯგუფების თანამედროვე სასწავლო ინვენტარით აღჭურვა
- 4.3. ტექნიკური ბაზის შექმნა 20 სოფელში სააღმზრდელო ჯგუფების ფუნქციონირებისათვის. ფუნქციონირების დაწყება

2010-2015 წლები